ამ კითხვის შესახებ პრუსიის კონსერვატორები ორათ გაიყო. ერთი, „kleine aber maechtige Partei“—, პატარა მაზა ძლიერი პარტია“, როგორც მისი მეთაური გერლახი უწოდებდა, პირდაპირ უარს ჰყოფდა თავისუფლების დედა-აზრს და თხოულობდა უკან დაბრუნებას, თითო-პყრობელობის აღდგენას. ამ პარტიამ გავლენა იქონი მოაბოვა ვერც სასახლეში და ვერც საზოგადოებაში. რევოლუციამ ისე დააზარა ცხოვრება, რომ მისი ძველ კალაპოტში ჩაყენება შეუძლებელი შეიქნა. აი ეს იცნო კანსერვატორთა უმრავლესობამ, რომელიც შეადგენდა მეორე პარტიას და რომელიც მხარს უჭერდა პირველ რევოლუციონერთა წინააღმდეგთ. ის ახლა თავისუფლების პრინციპს აღარა ჰყოფდა უარს, მხოლოდ მიიზიდავდა მისი კონსერვატორულათ განხორციელება; ე. ი. რაკ შეიძლება ნაკლები თავისუფლება ხალხს და მის წარმომადგენელთ და მეტი თავისუფლება მთავრობას და მის აკენტებს. ეს პარტია ახალ პირობებს შეუტირგდა, მხოლოდ იმ აზრით, რომ თითონ შექნილიყო მისი ხელ-მძღვანელი და ყველაფერი თანხმათ მისი სურვილისა მოეწყო. მისი ორგანოა ვახანა და ახალი დარსებული „კრუზაინი ვაჰთი“ (Kreuzzeitung), რომელიც დღესაც იპავე ჩოლოს ასრულებს.

თავისუფლებისათვის მებრძოლნი, თავის შერიგ, ორათ გაიყო: ლიბერალები და დემოკრატები. პირველი შეიცადენ მალაო და საშუალო ბურჟუაზიას, პროფესორებს და სწავლულებს, მეორეი—წვილ ბურჟუაზიას, მუწა-ხალხს, თავისუფალ-მოაზრეთ და ინტელიგენციას. ლიბერალთ სურდათ ისეთ წყობილება, სადაც შეძლებულნი გაბატონდებიან, ხოლო დემოკრატთ ისეთი, სადაც ხალხს მიენიჭება ბატონო-

ბა. ამნაირათ შედგა სამი დიდი პარტია, წარმომადგენლნი ცხოვრების სამი მიმდინარეობას: კონსერვატორები—მამულის, ლიბერალები—სხეილი კაპიტალის და დემოკრატები—წერილი საკუთრების. კაპიტალია ეს, მიწა-ადილი თუ შრომა. ახლა ცხენი უფრო დაწერილებით გაეარჩიოთ.

6. ე—ნაბ.

(შემდეგი იქნება)



მიკრობები ანუ ბაცილები.

(გუბდენი ბაბს—ჩემს ად. ხასანაშვილს).

I.



ველათეე შენიშნული იყო ერთი განცალკევებული ავთოზოფობათა ჯგუფი, რომელიც განიჩნევა თავისი გადამდები—კონტაგიური თვისებებით; ამ ჯგუფს ეკუთვნის წითელა, ყვავილი, ხუნვაგი, ხოლერა, საოჯად-და სხვანი. საკმარისია ამ გვარი სენი განდეს სადმე, რომ ცოტა ხნის განმავლობაში მოვდოს მთელ არე-მარეს.

ყველამ იცის, თუ როგორ მიენივარებდა ამ რამდენსამე წლის წინათ ჩვენში ხოლერა ადამიანის გარნება ყოველთვის ცდილობდა აესხნა ეს საოცარი მოვლენა; ცდილობდა გავკო თუ რაში მდგომარეობდა ეს გადამდები ძალა. სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა ხალხს ამის შესახებ ჰქონდა თვისებური აზრსა, რომელიც სრულებით მოკლებული იყო სიმართლეს და ფანტასტიური ხსიათა ჰქონდა, ჩვენ ხალხსაც აქვს, სხვათა შორის, ამის შესახებ თავისი წარმოდგენა: ყოველ გადამდებ სენს ჩვენი ხალხი ეძახის ბატონებს, ჩვენში წმირათ ვაიგონებთ „ამ სახლში ბატონებიანა“; ყოველ გადამდებ სენს ჰუყავს თვისი ბატონი—ანეგლოზონი და სადაც ეს ბატონი მივა, იქ განდება რომელიმე გადამდები სენიო. ამ გვარ სენს, ჩვენი ხალხის აზრით, წამლობა არ უნდა, განსაკუთრებით ექიმის მოყვანა. წამლობა იმაში მდგომარეობს, რომ ბატონებს დაუთმებენ ბაზპას და ივენანას უგალობებენ, რათა აქით მოულობონ ბატონებს გული. ავთოზოფის მიუსლთან არ მიუშვებენ, რომ ბატონებს თვლი არ დაეწვათ; შეე ტანისამოსიანს ავთოზოფთან არ მიუშვებენ, რადგან ბატონებს მხოლოდ წითელ-ყვითელი ფერი უყვართ, ამასთანავე მათ უყვართ სიმღერა-მზიარეობა. ეს, რასაკვირველია, სრულად ცრუმორწმუნებაა.

მეცნიერებაშიაც მრავალი სხვა-და-სხვა აზრი თქმულა, მაგრამ ნამდვილი და ქეშმარიტი არასოდეს. მართალია ზოგიერთ ძველ საექიმო თხზულებებში გვითხულობთ, რომ ჰაერში და წყალში არიან რაღაც უხილავნი ცოცხალნი არსებანი, რომლების წყალობით წარმოადგება სხვა-და-სხვა გვარი ავითყოფიან, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს იმდენათ ბუნდოვანათ არის ნათქვამი, რომ სრულდებით უმნიშვნელოთ დარჩა მეცნიერებაში.

Leuvenhoeck-მა (17₈₀—17₂₃), ჰოლანდიელმა მეცნიერმა პირველათ აჩვენა მაშინდელ მეცნიერებს ლუბით, — გამადიდებელი შუშით, — საუცხოოა არსებანი, რომლებიც იმდენათ პაწაწინა ყოფილან, რომ უბრალო თვალთ, თუ არ გამადიდებელი შუშით, — უხილავნი არიან. ამ მეცნიერის აზრით ეს არსებანი მრავლათ ჰაერში და წყალში არიან. ამ გამოკვლევამ დიდათ ააღვლია მეცნიერები, Leuvenhoeck-მა იმდენათ კარვათ შეისწავლა ეს არსებანი, რომ ზოგიერთი მათგანის ფორმაც კი აგვიწერა: ზოგს თერმე ჩხირის მკვსესება ჰქონია და ზოგს კი გრვხილს მოყვანილობა; ჰქონიათ აგრეთვე მოძრაობის, გამრავლების თვისება და სხვა.

მაგრამ, სამწუხაროთ, ეს მეცნიერი გარდაიკვალა და ამ სწავლის განვითარება შეჩერდა, კარვა ხანს.

1774 წელს Frédéric Müller-ი ხელ მეორეთ შეგნო ამ კითხვას; აგვიწერა კიდევ სხვა-და-სხვა გვარი ამ უხილავ არსებებისა; ესეც იმ აზრისა იყო, რომ ჰაერი და წყალი ნიადაგია მათის გამრავლებისა; ამანაც აგვიწერა სხვა-და-სხვა გვარი ამ არსებებისა.

ასე ამ გვართ იმ საუკუნის ბოლოს მეცნიერება იცნობდა ამ პაწაწინა სულიერ არსებათ; ამით მეცნიერებაში დღერქვათ სახელათ: მიკროორგანიზმები ანუ მიკრობები, ესე იგი პაწაწინა არსებანი; ხალხში კი უფრო ცნობილი არიან ბაცილებათ. თუმცა მიკრობების არსებობა ქვეყანაზე ყველასთვის ცხადი შეიქმნა, ნამეტურ მაშინ როდესაც მიკროსკოპი *) გამოიგონეს, მაგრამ მათი დანიშნულება და მნიშვნელობა გერ კიდევ გამოურკვეველი იყო. ასე ეს კითხვა ელოდა ვინმე გენიოსს, რომელსაც უნდა გამოერკვათ კაცობრიობსთვის; ეს გენიოსი იყო ფრანგი პასტერი. **)

1869 წ. ერთ საფრანგეთის პარიზში გაჩნდა საშინელი სენი, რომელმაც სრულდებით გაანად-

*) მიკროსკოპი არის ერთგვარი იარაღი, რომლის წყალბით უკველი მაწაწინა სხეული ბუკრათ დიდათ და გაწვევით გამოჩნდება.

**) Pasteur: Etudes sur la maladie des vers à soie.

გურა აბრეშუმის ქია. სახელმწიფოს დიდი ზარალი მოუვიდა; ყოველი ღონისძიება იყო მიღებული მასპობათ, მაგრამ ამათ, რადგან ქირის მიზნეს ევრაიენ ვერ მიაწო. ბოლოს ამ ქირის გამოკვლევამიანდეს ახლავდა მეცნიერ პასტერს. აი აქედან იწყება ახალი ხანა მეცნიერებაში; ამ დღიდან პასტერმა მოახვევა დიდების სახელი: პასტერმა მიკროსკოპის წყალბით აღმოაჩინა ერთ გვარი მიკრობი რომელიც იყო მიზეზი ამ სენის, რასაკვირველია მაშინ ბრძოლაც ადვილი შეიქმნა.

ეს იყო პირველი შემთხვევა სადაც აღმოჩნდა, რომ მიკრობი — ბაცილა იყო მიზეზი ამ გადამდები სენისა. ამას მოჰყვა სხვა მრავალი გამოკვლევანი როგორც პასტერისა, აგრეთვე სხვა მეცნიერებისა. ამ გამოკვლევებისგან აღმოჩნდა, რომ მიზეზი სხვა-და-სხვა გადამდებ ავითყოფიანათა ყოფილან ბაცილები. ასე ამ გვართ წარმოვსა სწავლა ინფექციური — გადამდებ ავითყოფიანათა შესახებ. (la base de la doctrine parasitaire des maladies contagieuses).

რასაკვირველია უმთავრესი მიზეზი ამ ახალი სწავლის განვითარებისა იმაში მდგომარეობს, რომ საშუალო წლებში დიდათ გაუმჯობესეს მიკროსკოპი, რითაც მეცნიერებს მიეცათ საშუალება უფრო გარკვევით დაწინაბათ და გავრჩიათ სხვა-და-სხვა გვარი მიკრობებისა. ასე რომ მიკროსკოპის გაუმჯობესება და ბაქტერიოლოგიის განვითარება მიიღო დენ ხელი-ხელს. ჩვენ დროს მიკროსკოპის გაუმჯობესობამ უმაღლეს წერტილამდის მიაღწია.

II.

დიდი ყურადღება მიექცეს მიკრობების აღწერას. თუმცა მიკრობები ისე პაწაწინებია, რომ თვალთ უხილავნი არიან, მაგრამ მიკროსკოპის წყალბით არამც თუ დანახვა, მათი მოყვანილობაც კი შეგძლია გავრჩიოთ. აღმოჩნდა, რომ მიკრობები სხვა-და-სხვა ფორმისა ყოფილან. საზოგადოთ მიკრობები ერთი მეორესაგან განირჩევიან მორფოლოგიურათ, (მოყვანილობით) და ბიოლოგიურათ.

თუ ჩვენ მათ მოყვანილობას ყურადღებას მივაქცევთ, ისინი განყოფიან სამს უმთავრესს ნაწილათ: ა) მიკროკოკები — რომლებსაც მრავალი მოყვანილობა აქვთ; ბ) ბაცილები — ამათი მოყვანილობა პაწაწინა ჩხირის მოგავგონებს და გ) სპირალური — გრვხილის ფორმისანი.

ყველაზე მეტი მნიშვნელობა ბაცილებს ეკუთვნის, რადგან ესენი არიან სხვა-და-სხვა გვარ გადამდებ სენის მიზეზნი; ამიტომაც უბრალო ხალხი ყველა მიკრობებს ბაცილებს ეძახის. ჩვენ დროს თ-

თქმის ყოველ გადამდებ სენს თვისი ბაცილოლა უზოგენს, ამიტომაც ბაცილოლები უფრო დაწერილობით არიან შესწავლილი და გამოკვლეულნი ვიდრე სპირალეები და მიკროკოკები.

ზემოთაც ვთქვით, რომ მიკრობებს ღრმა მნიშვნელობა აქვთ ბუნებაში, იმდენათ დიდი, რომ უმიკრობებოთ თითქმის შეუძლებელი იქნებოდა არსებობა ქვეყნიერებისა.

პირველათ რასაკვირველია მკითხველი გააკვირვებს, ნუ თუ ამ პაწაწიკა არსებებს შეუძლიან ჰქონდეთ ასეთი დიდი მნიშვნელობა?!

მაშ რაში მდგომარეობს მათი ძალა? მიკრობების ძალას შეადგენენ ორი უმთავრესა მათი თვისებანი: მათი გასაოცარი სწრაფი გამრავლება და ის საწამლავი, რომელიც მათ გამოაქვთ თავის არსებიდან.

ძლიერ ცოტა ხანია საჭირო, რომ ერთი მიკრობი გარდაიქცეს ათასათ ათი-ათასათ; მრავლებიან ძლიერ ადვილათ. ავლათ ბაცილოლა, რომელსაც ჩხირის მგზავსება აქვს; გამრავლება იმაში მდგომარეობა, რომ ერთი ბაცილოლა იყოფა ორ თანასწორ ნაწილათ; ყოველი ნაწილი წამოადვენს დამოუკიდებელ არსებას. ესენი რამდენსავე ხანს შემდეგ განიყოფებიან კიდევ ორათ და ასე ამ გეარათ ცოტა ხანს შემდეგ ერთი ბაცილოლიდან წარმოადგება მრავალი ბაცილოლები.

აი ამშობა მათი უმთავრესი ძალა. ბუნებამ ამით მათ მისცა უდიდესი ძალა ბრძოლისათვის.

ბ. ბადრიძე.

(შემდეგი იქნება).

ს ი ს ლ ი ს ძ ი ე ბ ა .

(ამავე წერტილზე ტროკუბიდან) *

(დასასრული)

XV.



ეკლამ გაგო სოფელში შეპყრობა ქიზრბისა; კაცთა, ქალთა და ყმაწვილთა

მოღენის იქმნა დღეისა. მოქუტნა, ხალხი მოგროვდა ეზოში ყოველ მხრიდანა, მხოლოდ სვაეები ზანტობენ არ მოგვლავენ მთიდანა. ყველას ის უნდა, იხილოს თავ-ზარ დამცემი მტერისა; გმირებს მოყვარული თვლი და გული ერისა. გაღლებული ასლანი გულში როგორა მღერისა! მან ბრძანა, როცა იხილა ბრბო ერთმანერთზე მდგომელი: „თქვენ კაცნო ყველასაგან თითო კონა ფ-ჩხს მოველი. მოხილეთ ბევრსგან ბევრი გაწურთნო ეს ცხოველი, მარტო ღეთას ბატონათ მცნობი, სხვა ყველას წინა მდგომელი! მოხიდეს შეშა უზომო, ცეცხლიც დანთეს დიადი; შიგ უნდა ჩაწვან ქიჩირი, როგორც კვერი და ხშიადი, ქიჩირმაც იგრძნო კარგათა თვის სატანჯველი ფრადი, მაკ-ამ ის წარბსაც არა ჰხრის დგას ვით სალი კლდე ზეიადი. მიუღვა ქიჩირს ასლანი ახლოს თავ-მოწონებული: — მოგწონს, ქიჩირო, სასჯელი ეს ჩემგან მოგონებული? ახლა ძლიეს სუნთქავს ნებითა გულზე დარდ მოფონებული. — მომწონს და არც შემაშინებს ათასჯერ მტრც იყოსა. თუ გუტყდე ღმერთი მრისხნედს წყალმა და ღვარამ მრიყოსა. — არ გეშინიან, სწორეთ თქვი, მხოლოთ დავისნის მუღარა. — ძალღებს ეგრას თხოვს ქიჩირი მოკედეს მით არა უნდა-რა. — მაშ თუ არ გზარავს სიკვდილი კიდეც იმღერებ, არაო?

) ის. აკვადი № 5.



— ძალიან კარგათ, — ქიჩირი
 ეთომ თავის შინ მჯდარაო.
 მონებს უბრძანე ჩონგური
 რო მომიტანონ ჩქარაო.
 მალე ჩონგურიც მოართვეს,
 ჩამოჯდა, მოინარაო;
 თოკით შეკრული მკლავები
 სახმარათ მოიგვარაო.
 ჯერ გადაჰნდა გროვას
 ცეცხლის მფრქვეველი თვლებით.
 ცეცხლი ცეცხლს დასწავეს, რა უშვას
 ვარს შემორტყმული ალებით.
 თვით იტანჯება რომ იწვის
 სხვას კი გაათბობს წველებით.
 გაჩაღდა ცეცხლი და ბოლი,
 შეიკრა როგორც ბარდა,
 ცაჲ შვე ღრუბელათ გადაეკრა
 თითქმას ტირილი სწაღდა.
 ხალხში ხმას არაინ იღებს
 ქიჩირს შესცქერენ მტერათა.
 ქიჩირმა ღარებს ჩამოჰკრა
 და გაიხედა ცერათა.
 იქ ნახა ქალი ღამაზი,
 რომ იღვრებოდა ცრემლათა.
 იგივე ეინაც წელანა
 მის შეპყრობის ღროს ტიროდა;
 ქალის ტირილსა ქიჩირი
 ცოტა არ იყოს ჰკვირობდა.
 იცნო და პირმა შესცინა
 დატყვევებულ ვეფხს იამა.
 გამოაფხიზლა ყველანი
 ჩონგურის სიმთა წყრიალმა.
 აჰკრა ხელი და ჩამოჰკრა,
 თან ზედ დამღერა ხელათა.
 დღესაც ამ ღექსების ცოდნა
 ყველა ყრმას ადგეს ბეგრათა.

1.

ფლიდა ესე საფელი,
 ფლიდათ საყრელი ხელისა;
 კარგებსა ჰჩაგრავს, უმსგავსეთ კი
 კალთას აფარებს, ჰშველიას;

მართალი წუთი სოფელში
 შეებას ამათ ელისა!

2.

სამშობლოსათვის მამაკი
 არის მაღლი და ღიღბა.
 მალე დაჰლუპავს ქვეყანას
 ლაჩართა ვადაციღბა.
 ეინ იყო ქვეყნის ორგული,
 ეინ ჰშველდა გიაურებსა,
 გააწყვეტინა ჩერქეზნი
 აჰმედა მგლებს და ტურებსა,
 დაჰკრა საკუთარის ხმლით
 ცურები ჩერქეზთ ფურებსა.
 იმის ძმებს მტერი ჰმუსრავდა
 თვით ჯიბეს იყრის ფულებსა.
 მიკვირს ასეთსა უმსგავსთა
 ქვეყანა რათა ჰყურებსა?!

3.

სულ-დგმული, დღესაც ესულდგმულენ
 მამა-პაპათა რჯულითა.
 ნაგრძნობი ჩემის გულისა
 არ მიწონია ფულითა.
 მიყვარს ჩერქეზთა ქვეყანა
 წმინდა ჩერქეზის გულითა,
 მიყვარს მთები და ველები
 გულ-მკერდით დაქარგულითა;
 ეინ იცის ეინა ეცხონდებით
 და ეინ წაყვედებით სულითა.

4.

ბიჭობა ათას ნაირი,
 ათასის სახის მქონეა.
 ეისაც სიკვდილი აშინებს
 ის ბიჭათ არა მგონია.
 თვის გაწირვა ადვილათ
 ეცაკატო სულის ღონეა.
 ეცაკატო დაიცევს ქვეყანა
 გამარულდეს იმათ ჯიშია;
 ფლიდათ, სულ-მდაბალთ ჯილაგი
 რომ გასწყდეს ისა ჯობია.

გველის წიწილა გველია,
ხალთ ვირისა ვირია.
კუნელზე ყურძენს არ ჰკრეფენ,
პრცა-რა გასაკვირია,
უმგზავსთა, ფლიდთა მომსპობათ
გახმეს ფონი და ძირია.

XVI.

ბაღლები შემოაბევეიან,
შეჭერებიან ქიჩირსა.
ასლანის ორი ვაჟიცა,
გვერდითა ღვანან მის პირსა.
ცეცხლი კი უფრო გაჩაღდა,
ალი აღსა სცემს, ტრიალებს,
საზარი სანახავია, —
სიკელიის ბჯალლი ტრიალებს.
„აი ბიჭობაც ეს არი!“ —
კვლევ დაიძახა მხედარმა,
იღლიას სათითაოთა
ბაღლები იკრა მუჭებარმა,
არა ამაოთ მომთქომმა,
არ უსაფუძელოთ მკეცხარმა.
„აი, ბიჭობა, ნახეო!“
და დაიღუპა ცეცხლია
სამის სულდგმულის სახეო.
ამითი როდი ვათავდა
ამ ცეცხლის ზღვასთან ომი.
ქალი გამოხტა გროვიდან,
ციდან მოსული მგონია.
ისიც თან მიჰყვა ქიჩირსა,
თქვეს: „აეგ დემურის ცოლია!“
ცოცხალ-მკეცხლათ დარჩა ასლანი,
ვაშტერებულა ღუნია;
სულს ჰხუთავს, ბუნებას ჰშაამავს
ცეცხლში დამწვართა სუნია.

XVII.


მეორე დილას იპოვეს
იქვე სხეული ბებრისა;
საკრეფათ წამოსულიყო,
ქიჩირის ძეაღთა მტეერისა.
ეკრიბა კანის კალთაში
თუ რამ ცეცხლს ფერფლი რჩენოდა;

ეძებდა შეილის ნიშანსა
ეგებ რამ გამოჩენდა.
რომ ფერაფერი ეპოვა
მასაც სიციხელე რცხენოდა.
ღანა დეცა გულზედა
და სისხლი ვადმოსდენოდა.

XVIII.

ასლანზე რაღას იტყვიან,
საღამ? როგორ რჩებოდა?
— ძალიან ამბავს ამბობენ:
უნამუსოთა კედებო.
ჭირი რამ შეშებდა უწამლო
მთაზე თოვლივით დნებო.
ლოგინთ ჩაერდნილია
ფხვზე ველარა დგებო.
დამლათ დეცა, ჰკეით შეცდა,
შუა მოხრილა გრაკლოთა,
არც რჩება, აღარცა კედება
ცოცხალი არი ძალოთა.
პურზე, საჭმელზე იძახის
როცა მიართმენ ასეა:
„წაიღეთ, შარს გამაცალეთ,
გველ-ბაყაყებით სავსეა!“
ვინც საღმით მივა იმასთან,
ჩერქებთ მთავარი იგია,
ბოღღისის ნაცვლათ მიუგებს.
„მე როდი ვამიყილია!“
—
ათასჯერა წვიმს, სეტყევა,
მთებზე ნისლები ჰკილია,
ბევრი რამ ხდებდა ქვეყნათა
შიგ ცუდგაბრაღი დილია;
ბუნება წარსვაც არა ჰარის
მაინც მშვიდი და მშვილია.

ჭოჩ ფაქკელ.



ბიბლიოგრაფია.

Очеркъ виноградарства и виноделия въ Гуріи и Мингреліи кн. Е. Накашидзе. Тифлисъ. 1896 г.



ურია-სამეგრელოში მევენახობა-მელღინეობაზე აქამდის სრულებით არაფერი ყოფილა დაწერილი. საჭირო კი იყო დიდი ხანია ამ საგნის შესახებ ცნობების შეკრება და შემუშავება. საჭირო იყო, მარა ეინ იზამდა ამას? მთავრობა დღემდის ყურადღებას არ აქცევდა ამ საქმეს და კერძო პირისთვის კი საძნელო იყო ამისთანა შრომის კისრება. თუნდა საძნელოც არ ყოფილიყო: ვინ იკისრებდა? გურია-სამეგრელოში სწავლული მეურნეები ორ სამზე მეტი არც კი მოიხსენება. ამ მიზეზებით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ წინათ თავისი საუკეთესო ღვინოებით ვაჭრობდნენ გურია-სამეგრელოში დღეს ვაზის სხვა-დასხვა ავთომეყოფობის მეოხებით — მევენახობა-მელღინეობა დაცემულ-დაღუპულა. მხოლოდ ჩვენშია შესაძლებელი საქმის ასეთი უპატრონობა, უფიცობა, შეუფერებლობა. სხვაგან კი ასე არ დაღუპავდნენ მეურნეობის ასეთ თვალსაჩინო დარგს. აგერ ნახვეარი საუკუნე გადის, რაც გურია-სამეგრელოში ვაზის სენმა იჩინა თავი და ჯერაც ვარდა თითო ოროლა პირისა, არავის მიუტკევეა ამისთვის ყურადღება. ხალხის კეთილ დღეობას კი ეს არა სასურველი მოვლენაც ძირს უთხრის, ამკარებს, ანახვერებს. მერე რა დროს ეწყეია ხალხს ეს უბედურება? იმ დროს, როდესაც ღვინოა დიდი გასავალი მოიპოვავ; როდესაც ღვინის მოსავალი და ამით აღებ მიტეობა დიდს სიკეთეს შეძენდა ჩვენ ხალხს. ეს უბედურება მარტო გურია-სამეგრელოს არ დატეხა თავზე. ესენი შეიქნენ მხოლოდ პირველი მსხვერპლი. შემდეგ ვაზის სხვა-დასხვა სენი მოვიდა მთელ კავკასიის ევენახებს და დაამზო ქვეყნის მეურნეობა. რაც აქამდის ვადაღურჩა დაღუპვას, — ის დღეს თუ ხვალ უნდა დაღუპოს. დღე მუდამ ახალ-ახალი სენი უჩნდება ვაზს.

მეურნეობის დაცვამ მთელ რუსეთის იმპერიაში, უკანასკნელი წლების დიდმა შიმშილობამ და ამითან დაოკიდებულმა მიზეზებმა ბოლოს მთავრობის ყურადღებაც მიიქცა. — დაარსდა განსაკუთრებით ახალი სამინისტრო, წოდებული „სამწიფთ მოქმედო და სამეურნეო სამინისტროთ“. ეს სამინისტრო შეუდგა საზოგადოთ დაცემული მეურნეობის აღდგენა-გაუმჯობესობას და ჯეროვანი ყურადღება მიაპყრო მეურნეობის უპირველეს დარგს — მევენახობა-მელღინეობასაც. ახალ სამინისტროს განკარგულებით ვაზის სხვა-დასხვა სენის მოსაძიებთ დაარსდა კომი-

ტეტები, დასები და სხვა. ეს უკანასკნელნი იწოდებიან ვაზის უსაწინელესი მტერის — ფილოქტერის სახელით: „საფილოქტერო კომიტეტებთა“, „საფილოქტერო დასებთა“. ამთ მოქმედებას და ბრძოლას ვაზის მტრებთან ჯერ-ჯერობით მხოლოდ მოგერებითი ხასიათი აქვს. იმდებდს ბევრს გვაძლევენ, მარა საქმით კი ჯერ ბევრი არაფერი ჩანს.

საკვირველია ის, რომ საფილოქტერო დასები ყველგან მუშაობენ, ვარდა გურია სამეგრელოსა. ამის მიზეზი უთუთო რსაა, რომ საფილოქტერო დასების შედგენის და მუშაობის დაწყების დროს გურია-სამეგრელოში ევენახეთ უკვე დაღუპული იყო. სხვაგან კი (იმერეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, თლში, კახეთში და სხვაგან) ასე უნუგეშო მდგომარეობაში არ იყო საქმე. აი, აქ მივსივნი ფილოქტერას და მის თანამომცემა, მარა, სამწუხაროთ, არა თუ ვერ მოსპეს სრულებით, — ვერც კი შეაჩერეს მათი მსვლელობა. ფილოქტერასთან ბრძოლაში უკუქცეულ სარდლებს ბოლოს — ლა გურია — სამეგრელოც გაუხსენებიათ. რაკი ფილოქტერის მსპობა და შეჩერება შეუძლებელი ვახდა, — საჭირო იყო გამოკვლევა და შეტყობა, იმისი თუ რამდენათ გამოადგე იქნება გურია-სამეგრელოში იმ მოგერებითი საშუალების ხმარება, რასაც ახლა ხმარობენ ხოლმე ფილოქტერის წინააღმდეგ. ეს საშუალება მდგომარეობს იმაში, რომ ამერიკულ ვაზზე, რომელიც ფილოქტერისაგან უნებელათ ითვლება, ამყინან ალაგობრივ ვაზს. უთუთო ამ აზრით უხელმძღვანელო კავკასიის საფილოქტერო კომიტეტს და მიწოდია თ. ვრ. ნაკაშიძისათვის გურია-სამეგრელოს შემოგვლა და მევენახობა-მელღინეობის შესახებ ცნობების შეკრება. თ. ნაკაშიძის შეუკრებია კიდევ ფრიად საყურადღებო ცნობები და დაუბეჭდა რუსულ ენაზე წიგნათ, რომლის სათაურიც ამ სტატიის დასაწყისში ამოვწყრე. თ. ნაკაშიძის გურია-სამეგრელოში მგზავრობის დროს ცუდი ამინდები დასწრებია და დრო ბევრი არ ჰქონია; ამისთვის მის მიერ შეკრებილ ცნობებს სისრულე და მეცნიერულათ შემუშავება არ მოეთხოვება.

თ. ე. ნაკაშიძის წიგნი ქართულათ რომ იყოს გამოცემული, — მაშინ თავის თავათაც ვაცნობოდა მკითხველი მის შინაარსს. ახლა კი უმეტესობისათვის შეუმჩნელოთ ჩაიღის მისი არსებობა. ეს კი არ იქნება სასურველი. გურია-სამეგრელოზე ჩვენს ლიტერატურაში ძალიან ცოტა, თითქმის სულ არაფერი, ცნობები მოიპოვება. აქაური ხალხის ყოფა-ცხოვრებას და ზენ-ჩვეულებას ნაკლებათ იცნობს არა თუ საზოგადოთ უბრალო ხალხი, არამედ მოწინავე საზოგადოებაც კი. ქართლში და კახეთში არც კი იყო-

ან, თუ გურია-სამეგრელო ერთ დროს კარგი ლეონობით იყო განთქმული; იქ თათქის არც კი დაჯერებენ ახას, რომ გურია-სამეგრელოში ზოგერთა ლეონო არა თუ არ ჩამოუყარებოდა თავის ღირსებით კახურ ლეონებს, — პირიქით თათქის კიდევაც ჯობდა მას, ახალი თაობა ხომ სულ მოკლებულია ასეთს ცნობებს, ახლანდელს დროში მით უკლებლეს საქირობებს შეადგენს ყველა ქვეყნის, ყველა კუთხის შესწავლა-გაცნობა. ჩვენთვის მარცხს არსებობს, რამ ჩვენი პატარა ქვეყნის ავი და კარგად ვიცოდეთ. ერთ-მანეთს დაშორებამ, გუქნა-გოლამამ, უთანხმოებამ დედადნარაბამ წარსულში რა კარგი დაგვიშარა, რომ ახლა სიკეთე დაგვიყარას? დროს შეგნება და შესაფერი იარაღით გასწორება უნდა. ვინც ასე არ მოაქცევა, მისი არსებობის დღეობა დათვლილია უნდა ჩაითვალოს, ჩვენი დრო საეკონომიო საკითხების ხანა, როგორ გათავისუფლდეს მისი აღმ-მიცემობა, მრეწველობა, მეურნეობა და სხვა — აი, დღევანდელი საზრუნველი საკნები. ამით გადაჭრა-გადაწყვეტას ალექს დღეს თავის ძალ-ღონეს კაცობრიობის, შეგნებული და საუკეთესო ნაწილი. ჩვენც ამ გზა-კვალს უნდა მივდიეთ.

თ. ერ. ნაკაშიძის წიგნი ასე თუ ისე ხელს უწყობს ზემო აღნიშნულ საკითხების წამოყენებას და შეგნებას ჩვენში. თ. ნაკაშიძე იცვლევს ჩვენი ქვეყნის ერთ უდიდეს კუთხეში — გურია-სამეგრელოში მამულის 1) მოაშენებს და ლეონის დაყენებას წარსულს, ნათელს ჰყენს მის აწმკის და გზას უწყევებს მომავლისაკენ. ამისთვის ჩვენ განვაზარებთ, რომ მკითხველს მოკლეთ გაცნობით დასახლებული წიგნის შინაარსი. თ. ნაკაშიძის წიგნის დედა-პირი მამულას განმარტების და ლეონის დაყენების გამოკვლევა, მარა სანამ პირდაპირ ამ საკანზე ვაღიერებდეს, — თ. ნაკაშიძე მოკლეთ ვაღიერებდეს გურია-სამეგრელოს შესენებ გეოგრაფიულ, ტოპოგრაფიულ, მეტეოროლოგიურ და გეოლოგიურ ცნობებს, ჩვენც აქედან დავიწყებთ 2).

გურია-სამეგრელო, რომელსაც ძველათ კოლხიდა ეწოდებოდა, შეადგენს ქუთაისის გუბერნიის დასავლეთის ნაწილს, ეს მხარე იყოფება სამ მხარათ. გურია შედგება მხოლოდ ერთი, ოზურგეთის, მზრისაგან ხოლო სამეგრელო ორი, — სენაკის და ზუგდიდის, — მხარეებისაგან. გურია სიერციით უდიდის

1880, ოთხ-კუთხე ვერსტს, რაც შეადგენს 413528 დლიურს ანუ 550037 ქვევას. ამ სურსეზე ცნობებს 86760 სული, რაც თითო ოთხ-კუთხე ვერსტზე შეადგენს 43, სულს. სამეგრელო კი ანუ ოდიში უდიდის (ორივე მხარა ერთათ) 4134, ოთხ-კუთხე ვერსტს, რაც 861364 დლიურს ანუ 1148485 ქვევას შეადგენს. აქ ირიცხება 210177 სული, რაც ოთხ-კუთხე ვერსტზე შეადგენს 50 სულს.

გურია უფრო მთა-გორიანი ადგილია. იგი ვენილია საჯგავნოს მთის შტოებით. ეს შტოები ჯერ ჰყოფს გურიას იმერეთისაგან, შემდეგ მიჰყვება რიონის დასწვრივ, უხვევს დასავლეთისაკენ და ნიკოთის მთის სახელ-წოდებით ჰყოფს გურიას ორ ნაწილათ. ჩრდილოეთის მხრით რჩება რიონის და ფიზიკის დაბლობი მიდამოები, ხოლო სამხრეთით მდინარე სუფსის მიდამო. აღმოსავლეთით და სამხრეთით გურიას აკრავს გურია-აჭარის მთები, რომელთა ზოგიერთი მწვერვალი ორ ნახევარი ვერსტით (9000 ფუტი) მაღალია ზღვაზე. სამეგრელო უფრო ბარი, დაბლობი, ადგილია, თუმც აქაც შეხედებით აქა-იქ მუდამ მწვანით შემოსილ გორაკებს და მთებს.

გურია სამეგრელო არწყვის მრავალი მდინარეებით და რუბებით, რომელთა შორის უფრო მაშინდელი არიან სუფსა და ფიზიკი გურიაში, ხოლო ტუხური და ხოფი სამეგრელოში.

გურია-სამეგრელოში ჰქრის საზოგადოთ ორი მთავარი ქარი — აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. აღმოსავლეთის ქარი გურიაში მხოლოდ ნოვოთ ს მთის ჩრდალა მხარეს ხელდება; სამხრეთის მხარეს კი ამ ქარისაგან იფარავს ხსენებული — ნიკოთის მთა. აღმოსავლეთის ქარს სამეგრელოში ის სიძლიერე არა აქვს, რაც იმერეთში. დასავლეთის ქარი კი გურიაში უფრო ხშირია და ზოგჯერ (სამ-ოთხ წელიწადში) ისე ღონიერათ ამოვარდება, რომ ხეებს ჰკლევს ძირიან ფესვიანათ. ამ ქარს თან წვიმა მოჰყვება ხოლმე.

ჰაეის მხრივ გურიასა და სამეგრელოს შორის დიდი განსხვავება არ არის. ამ საგანზე მსჯელობის დროს გურია-სამეგრელო უნდა გაიყოს მდლოებებათ და დაბლობებათ. დაბლობის ჰავა უფრო ერთგვარია, ხოლო მაღლობისა კი სხვა-დასხვა ნაირია. გურია-სამეგრელოს ჰაეის საზოგადოთ თვისებას შეადგენს სისველე-სინესტის სიუხვე. დიდ ძალი თბალი ჰაერი, შავი ზღვის ნაორთქლი, ველარ გადადის ტყით შემოსილ მთებზე, იკრება და წვიმით მოდის. ზოგჯერ აქ მთელი კვირების განმავლობაში შეუწყვეტლათ მიადის წვიმა. მეტეოროლოგიური ცნობებიდან ჩანს, რომ გურია-სამეგრელოში წელიწადში საშუალო რიცხვით (გაზაფხულზე 32, ზაფხულზე 31, შემოდგომაზე 32, ზაფხულში 35, წვიმა-

1) „წმეო შობილი წარსულისაგან
ისის შობილი მომავლისა“
2) შინაარს წარ შეიძლება შემოკლებით ვაღიერებდეთ, მარა ამასთანავე ვეცდებით საუარესად აღა გავმოკვებთ-არ.

ნი ღლე მოღის. ამავე ცნობებიდან ჩანს, რომ წლიური ტემპერატურის (ზაფხულის) საშუალო საზომით (გაზაფხულზე 12,6°; ზაფხულზე 22,9, შემოდგომაზე 16,9, ზამთარში 7,5.) უნდა ჩაითვალოს 15 გრადუსი.

ნიადგი გურია-სამეგრელოში სხვა-და-სხვა ადგილას სხვა-და-სხვა გვარია. ზეგნების და ფერდობების ნიადგი სამეგრელოში უფრო კირნალია (შელის ფორმაცია), გურიაში კი ამისთანავე ადგილებში უფრო ა ქვანალი (მესამეული ფორმაცია) ნიადგია. ზღვის პირათ და მდინარეების დაყოფებზე გურიაში უფრო ქვიშნარი ნიადგია, სამეგრელოში კი ამავე ადგილებში უფრო მძიმე თიხნარია. ეს ნიადგი წყალს არ იზრობს და ამისთვის სამეგრელოში მდინარეების ნაპირები უმეტეს ნაწილათ ჭაობებს წარმოადგენენ. ბარ სამეგრელოში საზოგადოთ ახალი დროინდელი ნალექი, წყლის მიტანილი, ნიადგია, რომლის უმეტესი ნაწილი შეღებვა ყვითელი თიხისაგან. ბარ სამეგრელოში კი ჭაობებს ქვანალი, მძიმე თიხნარი (წითელი და ყვითელი თიხა), თიხა ნარევი და ქვიშა ნარევი ნიადგის; კირი კი გურიაში ცოტა ურეგია ნიადგი. გარდა ცოტაოდენი აღნიშნული ჭაობებისა და ქვიშნარისა (გურიაში ჭაობები მდ. ფირორის შიდაგა გურია-სამეგრელოს ნიადგი დიდათ ნაყოფიერია. ყველა პირობები ხელს უწყობს აქ ყოველგვარი მცენარეობის მოშენებას და ზრდას.

თ. კეჭავჭავიძე.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წყნოელი სს.

განცხადება

თბილისის ქალაქის გაგმომკონსაზან

თბილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაო, რომ მისი 28 დეკემბრის 1896 წ. გარდაწყვეტილების ძალით, რომელიც დაამტკიცა ბნმა თბილისის გუბერნატორმა 8 იანვარს 1897 წ., შესდგება საბჭოს

საარჩევანო სიები

თბილისის ხმოსანთა საარჩევანო ოთხის წლის ვადით 1897—1901 წლებში, საარჩევანო კრებაში, რომელიც დანიშნულია კვირას, 18 მაის 1897 წ.

ამ საშვი ჩაიწერებან (24 მუს. ქალაქის დეპუტეებისა):

1) რუსეთის ქვეშევრდომნი, აგრეთვე საქველ მოქმედო, საქმნიერო და სამოსწავლო დაწესებულებანი მთავრობისანი, რომელთაც აქეთ საკუთარი უძრავი მიწები თბილისის სასაზღვრათ შორის, დირებული არა ნაკლებს ორმოც და ათის თუმნის, და რომელსათვისაც ინდინ ქალაქის სასარგებლოთ დაფასების გარდასასდს,

და 2) რუსეთის ქვეშევრდომნი და რუსეთის იმპერიის კანონთაშერ დაასრულებნი საზოგადოებანი, ამხანაგებანი, რომელთაც წელიწადზე ნაკლები არ არის, რაც თბილისში აქეთ საჯარო-სამრეწველო წარმოება, რისთვისც საჭიროა მოქმად პირველის ან მეორის გიადღის.

ქალაქის გამგეობა თავის მოგაგეობათ თვლის უოკელსავე ზემოსსენებულს დასმინოს, რომ სასრეგენოსიების შედგენას იგი დასრულებს, თანსმით იმავე გარდაწყვეტილების, ან 1897 წ. 1 თებერვლამდე. ამიტომ ვისაც სურს ჩაწვიდღ იქნის საბჭოში, ამ წლის იანვრის გასვლამდე უნდა შემოიტანოს ქალაქის უოველივე დაჩენიდი გადასახადი, რომელიც კრება გამგეობას წარსულ წლის 1 ივლისამდე, რათა მთზე დარჩეს არა უმეტეს ნსიკვარი წლის შემოსატანი, ქალაქის დეპუტეების მე-33 მუსდის გ. 8 ძალით. (3—2)

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 5 თებერვალს 1897 წ.

ბენეფისი გ. მ. გელევანოვისა

ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ

წარმოადენილი იქნება:

პირველათ სხალი შიკსი.

I

კოლოქიძისი ყვაკილები

კომედია—ფარსი 3 მოქმედათ, ბისოსინას, თარგმანი ნ. გაუსტროვის მიერ.

II

პირველათ სხალი შიკსი.

გიუს დიდი თვალში აქვს

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. საფაროვი-აბაშიძისა ჩერქეზოვილისა, ივანისა, კარგარელისა, კუნდელი და სხვ. ბ.ბ. აბაშიძე, გელევანოვი, კარდელი, შათირიშვილი, აღამიძე, აბრამოვი, კანბელი, თამაზიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივით

დასაწმინი 8 საათში

რევიორი. ვ. ს. ალექსიუკ-მესისიშვილი.

ადმინისტრატორი გ. შათირიშვილი.

ივერია

გამოვა 1897 წელსაც

იმავე კროზრებით, როგორც წინათ.

გამოვა მხოლოდ 17 იანვრიდან, უოკედ დღე, კარდა იმ დღეების, რომელიც წყდ მოსდევს კვირა-უქმებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|------------------|---------------|----------------|------------------|---------------|----------------|
| 11 თვ. და 13 დღ. | 9 მ. | 60 კ. | 6 თვით | 6 მ. | — კ. |
| 11 " | 9 " | 50 " | 5 " | 5 " | 50 " |
| 10 " | 8 " | 75 " | 4 " | 4 " | 75 " |
| 9 " | 8 " | — " | 3 " | 3 " | 50 " |
| 8 " | 7 " | 25 " | 2 " | 2 " | 75 " |
| 7 " | 6 " | 50 " | 1 " | 1 " | 50 " |

სახელწარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.

თბილისს გარეთ მისწავრები უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

„ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

თფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქუჩა № 21. „ჭრთუელთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ჭრთუელ თავაჯ-ზნაურთა ქარვასლაში. თუ თბილისში დაბარებული გაზეთი თბილისს გარეშე აღერსებ შეცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში 1 მ. ხოლო თუ ქალაქ გარეთიდან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარეშე — უნდა წარმოგზავნოს 40 კ.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეკზავნება გაზეთი ბირველ იმ თვიდან, რომელსაც დამთავრებული ადნიშნება.

1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოთ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხი თვის ფასი—3 მ. და 38 კაპ. (კაპიციტების მავიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს იმას მიუყვას გაზეთი შეიღის თვისა და კამეტის ღირს განმავლობაში 17 იანვრიდან.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენსამე თვით, იმათ შეუსრულებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდან.

სარედაქციო მუშაობა 15 დეკემბრიდან დაიწყება

საქმეწილო ნახატებიანი უწნაზლო

„ტექნიკი“

წელიწადი მარხე

გამოვა 1897 წელს თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ქურნალში მიანაწილობის მიღება აღვეთქვეს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ქურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან. ტფილისის გარეშე ვაგზანით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ. ხელისმოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) თბილისში—წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (Дворцова ул., д. Зем. Банка № 102), „ქართულ სახალხო სამკითხველოში“ (д. зем. банка № 32) და თფი „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. д. Тамашева, взлѣс кадетскаго корпуса).

- 2) ქუთაისში—მ. ბეჟანეიშვილთან,
- 3) გორში—პ. კლანადესთან.
- 4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.
- 5) სიღნაღში—ივან. ქიტაიშვილთან.
- 6) საჩხერაში—ჰარამან ჩხეიძესთან.
- 7) ელისაბეტპოლისში: ა. მიქაბერიძესთან.
- 8) თიონეთში—ივ. ჩიბლაიშვილთან.
- 9) ჰშირილაში—არაბიძის წიგნის მაღაზიაში.
- 10) ფოთში—ი. კობრიძესთან.

ფოსტის ადრესი: Во Тифлисе, во редакцію ирუ-зискаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლის

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

на 1897 годъ.

(четырнадцатый годъ изданія).

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

| | | | |
|----------------|------------|---------------|-----------|
| На 12 мѣсяцевъ | 10 р. — к. | На 6 мѣсяцевъ | 6 р. — к. |
| " 11 " | 9 " 50 " | " 5 " | 5 " 25 " |
| " 10 " | 8 " 75 " | " 4 " | 4 " 75 " |
| " 9 " | 8 " — " | " 3 " | 3 " 50 " |
| " 8 " | 7 " 25 " | " 2 " | 2 " 75 " |
| " 7 " | 6 " 50 " | " 1 " | 1 " 50 " |

საზოგადოებრივო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნასახტებიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1897 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

გაზეთი წლიურათ: ღირს ვაუზანელათ 7 მანეთთ, ხოლო ვაგაზენით 8 მანეთ. ნაწევარი წლით ვაუზანელათ 3 მან. 50 კაპ., ვაგაზენით 4 მანეთ. სამი თეთრავაუზანელათ 2 მანეთ., ვაგაზენით 2 მ. 50 კ. თათო. ნომერი სამ შაურათ, ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოვაგაზენან.

ხელის მოწერა მიიღება:

თფილისში — არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თითი „კვალის“ და „ჯეჯილის“. რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамашева, возле кадетского корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართან: ქუთაისში: ვარლამ ჭოლაძის, ე. ბუენიანი-ლის, ხეთეროს წიგნის მაღაზიებში და ბ-ნ ლადიძისთან ზელტერის წვლის ქარხანაში. — ბათუმში: მათე ნიკოლაძის ტურნალ-გაზეთის სააგენტოში. — განჯაში: ალ. მაქაბერიძეს. — ჟოთაში: მიხეილ თურქიას და ი. კობრიძეს. — მთიანეთში (ხაშურში): იოსებ ფანცულაიას. — თაჩნუში: ივ. ჩიბალაშვილს. — გორში: არსენ კალანდარიძეს. — ყვითელში: ბ-ნ არაბაძის წიგნის მაღაზიაში. — სამსქეში: ივ. ჩუქუა.

რედაქციისაგან.

ეკლესიის წევრთაგანგაზეთში სხელ წლისათვის სელის მოწერის წინეთ ქმირდებან გამოცემის გაუმჯობესობას ვარკვევად და შინაარსით, ზოგად გი სანქცირს (პრემიას) აღუთქვამს, მაგრამ ზოგჯერ თავინთ სულთ არ არის მისი ასრულება სსკა და სსკა მიხსეპის გამო. ჩვენ გუწუკით აკვალის“ მეთისკელეს, რომ რედაქცია ყოველ დღისმისას ისმარს, პარ ნათლთ გამოიქდეს სელის მომწერლებთა წინაშე.

გაზეთ აკვალის“ პრემიის გაფართოებაზე უშეე დართულია ნება და აით გაზეთს უფლება და სსმქელას მიეტ, სრულ ყოველ დღიურ საზოგადოებრივ და სალიტერატურო გაზეთის მგზავსათ, მსუქელას იქონიოს როგორც რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ცხოვრებისა და პოლიტიკის შესახებ, ზგრთუე ჩვენ ცხოვრების დღიურ საჭირ-ბოროტო ვარამხედც.

წელსაც ეკლესიის თანამშრომლებმა აღკვიტეკეს თვისი გლმის ნაწმრთიკის მოწოდება. რც შეეკას ვარკენიე გაუმჯობესობას, რედაქცია დონისმეპისმეპურ აქეკეს ვურდელას: ჩვენ ვინარეთ გლაშეკეს ყოველთვის დონდონდან, შეტერსურვადან და სლადც დასრუებული გვქცეს შეუტარდდან, სლდო თბილისში შეუძლებულია სეიონი ნასახტების დაუჭვად, რადგან ჩვენ ცხოვრების მდონდნე მსახტრება თითქმის არ გვეკას და დიტოკრფთიასგ სმიწათ უფუჭვად სურთუბო.

მომავალი 1897 წ. კვალის ხელის მომწერლებს დაურიგდებათ პრემიით ისტორიული ალბომი (სურათები ჩვენი გამოჩენილი მეფეებისა, ისტორიულ პირთა, ძველი მონასტრებისა და ციხეების, აღწერიათ.)